

№ 112
21.11.16

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 38-ე მუხლის შესაბამისად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის პირველი საორგანიზაციო სხდომა, რომელზეც შემუშავებული იქნა კომიტეტის დებულება და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არჩეულ იქნენ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები.

თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულ იქნა პაატა კვიციანიძე, თავმჯდომარის მოადგილედ ირაკლი ბერაია და რომან გოცირიძე.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დებულებას და პირველი საორგანიზაციო სხდომის ოქმს.

ირაკლი კოვზანაძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის
კომიტეტის თავმჯდომარე

**საქართველოს პარლამენტის
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომის
ოქმი № 1**

ქ. თბილისი.
21 ნოემბერი, 2016 წელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ირაკლი კოვზანაძე (კომიტეტის თავმჯდომარე).

სხდომას ესწრებოდნენ: კომიტეტის წევრები: პაატა კვიციანიძე, ირაკლი ბერაია, ბექა ნაცვლიშვილი, არჩილ თალაკვაძე, გოჩა ენუქიძე, გიორგი მიქელაძე, გია ბენაშვილი, გიორგი ლილუაშვილი, რომან გოცირიძე, გელა მიქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: კომიტეტის აპარატი და საქართველოს პარლამენტის სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები და მასმედის წარმომადგენლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით - 11 წევრის დასწრებით (ოქმი თან ერთვის).

დღის წესრიგის პროექტი:

1. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დებულების შემუშავება და დამტკიცება;

/მომხსენებელი: ირაკლი კოვზანაძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის/

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების არჩევა.

/მომხსენებელი: ირაკლი კოვზანაძე/

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები ან მოსაზრებები არ გამოთქმულა და კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით: საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ კომიტეტის წევრებს გააცნო კომიტეტის მიერ შემუშავებული საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დებულების პროექტი.

შეკითხვები დასვეს და აზრი გამოთქვეს: ირაკლი კოვზანაძემ.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომიტეტის 10 წევრმა. კენჭი უყარეს ერთხმად.

დაადგინეს: მოწონებულ იქნეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დებულების პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინოს პარლამენტის ბიუროს

დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით: საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომიტეტის წევრებს წარუდგინა თავმჯდომარის პირველი მოადგილის კანდიდატურა და გააცნო მოადგილეების კანდიდატურები.

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი კოვზანაძემ წარადგინა პაატა კვიციანიძის კანდიდატურა. ჩატარდა კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომიტეტის 10 წევრმა. კენჭი უყარეს ერთხმად.

განიხილეს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარმოდგენილი ირაკლი (დაჩი) ბერაიას კანდიდატურა.

ჩატარდა კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომიტეტის 10 წევრმა. კენჭი უყარეს ერთხმად.

განიხილეს საპარლამენტო უმცირესობის მიერ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე წარმოდგენილი რომან გოცირიძის კანდიდატურა.

ჩატარდა კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომიტეტის 10 წევრმა. კენჭი უყარეს ერთხმად.

დაადგინეს:

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულ იქნეს პაატა კვიციანიძე, თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ ირაკლი (დაჩი) ბერაია და რომან გოცირიძე. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოს პარლამენტის ბიუროს (წერილის ასლი თან ერთვის).

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 21.11.2016წ. სხდომის აუდიო ჩანაწერი ოქმს თან ერთვის.

სხდომის თავმჯდომარე



ირაკლი კოვზანაძე

სხდომის მდივანი

ირინა ლომია